მემორანდუმი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და

ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციას შორის

ურთიერთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი **27 ივნისი**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოდგენილი თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის სახით და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია წარმოდგენილი თავმჯდომარის, ზვიად კორძაძის სახით თანხმდებიან შემდეგზე:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის საქმიანობა ემსახურება ადვოკატის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ხელშეწყობას და განვითარებას, პროფესიული ეთიკური სტანდარტების განვითარებას, იურიდიული განათლების ხელშეწყობას, უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას.

მხარეები ურთიერთშეთანხმების გზით აღიარებენ ორმხრივ ინტერესს, ხელი შეუწყონ ადვოკატთა როლის ამაღლებას საზოგადოებაში, ითვალისწინებენ, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის გზით განგრძობადი იურიდიული განათლების მაღალი სტანდარტების დამკიდრებას, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტების განმტკიცებას, სხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირის, ადგილისა და როლს საზოგადოებაში

მხარეები თანხმდებიან, ექნებათ შესაძებლობა ისარგებლონ ერთმანეთის რესურსით ტრენინგების, კონფერენციების საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და სხვა პროექტების განხორციელებისათვის.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია
_____	_____
ზაზა ხატიაშვილი	ზვიად კორძაძე